ყოველდღიური · მეორე · ფასი 10 კაპ. · კვირა, 4 ენკენისთვე 19[illegible] № 197


# საქართველო


ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი [illegible] იღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

[illegible] სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—12 [illegible] ... [illegible] ებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.



ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ფასი ფოსტით ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პროვინციაში:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**



ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131. საზაფხულო შენობა)

კვირას, 4 ენკენისთვეს შესდგება

კონცერტი

3 განყოფილებით.

მონაწილეობას მიიღებს ცნობილი მემუსიკე გარმონისტი

**გიტუზოვი გაჩუ**

კონცერტზე შესვლა უფასოა ✦ ✦ დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

(1—243—1)



სამგლოვიარო

გულმოკლულნი: დედა ელისაბედი, ქვრივი ელენე, პატარა ქალი ნათელა, ძმები: ალექსანდრე და არსენ, რძალი ზინაიდა, სიდედრი ანნა, ცოლის ძმები: ლეონიდ, ათინოგენ, ვიქტორ, სოსო და არჩილ და ცოლის და ნინა მექანარიშვილები, თამარ და ემილ სირბილაძენი აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ დღეს, 4 სექტემბერს, დილის 11 საათზე, ქაშვეთის ეკლესიაში გადიხდილ იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად დაკარგულის

გიორგი სპირიდონის ძის

**ლომთათიძის**

სულის მოსახსენებლად.

(1—319—1)



საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

**ბერელაშვილისა**

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)



ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლაში

მიიღებენ ყოველ შეკვეთილს საქმეს

კაბებს, წამოსასხამებს ქალებისას და ბავშვებისას, თეთრეულს და სხვა და სხვა ნაქარგს ხელსაქმეს.

თავისუფალი ალაგი მოწაფეთათვის მხოლოდ კურსებზეა, და მიიღებენ მოზრდილ ქალებს 16 წლიდან.

მისამართი: ვერა. გაბაანთ შესახვევი № 3.

(5—318—1)



ხარფუხის კლუბის მამასახლისთა

საბჭო აცხადებს, რომ საზოგადო კრება

კლუბის წევრთა

დანიშნულია დღეს, 4 ენკენ., დღის 12 ს. კლუბის საზაფხულო სადგომში.

კრება, როგორც მეორედ დანიშნული, კანონიერად ითვლება რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

(1—242—1)



სასცენო სტუდია ს. ნ. ვორონოვისა

ქართულსა და რუსულს ენაზე

I განყოფილება — დიქცია და დეკლამაცია.
II „ — პლასტიკა და გიმნასტიკა.
III „ — თეატრის ისტორია.
IV „ — ესტეტიკა.
V „ — პრაქტიკული მეცადინეობა.

ცნობების მიღება შეიძლება ოთხშაბათ-კვირაობით, საღამოს 6—7 ს. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელეფონი 8—43.

დანარჩენ დღეებში 12—1 საათამდის და საღამოს 6—7 საათამდის, ნიკოლოზის ქუჩა № 64, სადგომი ვორონოვისა.

(თ.—230—8)



ქ. ბაქოში

ღვინით ვაჭრობა

„მელაანი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)



ექიმი

**მ. ი. ვაჩნაძე**

იღებს ბავშვთა და შინაგან ხნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)



ექიმი

**ი. დ. გეგთაგეგოვი**

დაბრუნდა თბილისში და განაახლა ავადმყოფების მიღება.

(1—317—1)



„პირველ ხარისხოვანი რესტორანი

**კაფე პარიზი**

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე · ჩაი
სადილები · ყავა
ვახშმები · ხაჭაპური · პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხილ. ს. გიგიბერია.



დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ ხნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში** კორპუსის ბანაკში



დ. ზესტაფონში

ექიმი

**დ. პ. მაჭავარიანი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე



გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

✦ პროვიზორის ახვლედიანისა ✦



ექიმი-დოსტაქარი

**გ. მ. მუხაძე**

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.



უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

**ა. დ. შაჰაბაზიანცი**

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სალ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.



**ახალი მელანი**

კოტე ონიკაშვილისა

მელანი ახლის ახალებადაც („კაპიროვკისთვის“) კარგია

დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში

ვინც 20 მანეთზე მეტს გამოიწერს ფლაკონით ეღირება 1 მ. 20 კაპ.

ფუთი უბრალო შუშით 40 მან.

ხანიმუშო მელანი ფას დადებით გაეგზავნებათ.

◆ მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს ◆

მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.



ღვინის საწყობი

**ნიკო გ. სესიაშვილისა**

◆ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ◆

**კახური ღვინო**

განოვის ქუჩა № 4.

——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———

(185—წ.)


## თბილისი, 4 ენკენისთვე.

**ჩვენი უდიდესი მტერი**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხის ერთი უდიდესი და უსასტიკესი მტერი ციებ-ცხელებაა. კავკასია საერთოდ მალიარიის კლასიკურ ქვეყნად ითვლება, მაგრამ ეს სენი არსად არ მძვინვარებს ისე, როგორც საქართველოს ზოგიერთ პროვინციაში, განსაკუთრებით კახეთში, ქვემო იმერეთში და გურია-სამეგრელოში. ალაგ-ალაგ ის პირდაპირ ფიზიკურ განადგურებას უქადის მცხოვრებთა მასას. ჩვენი მშვენიერი მდინარეები, ალაზანი და რიონი, რომელნიც ქვეყნისათვის თითქო ნაყოფიერებისა და სიმდიდრის წყაროს უნდა წარმოადგენდნენ, ჩვენი შეუგნებლობისა და უკულმართობის წყალობით შეჩვენების და სიკვდილის წყაროდ გადაქცეულან და ლამის დედამიწის ზურგიდან აღგავონ ახლომახლო მდებარე სოფლები.

დედამიწის ზურგზე ძნელად მოიპოვება მეორე კუთხე, სადაც იმდენი ჰლექიანი, კუჭ-მოშლილი და ნერვებ აშლილი ავადმყოფი იყოს, რამდენიც საქართველოშია. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ჰავა, წყალი ან საკვები ხელს უწყობდეს ამ სნეულებათა გავრცელებას. პირიქით, მთისა და ზღვის შეზავებული ჰაერი, მინერალური წყლები, უხვი ვეგეტარიული საჭმელი, რითაც ჩვენი სამშობლო ასე დაჯილდოვებულია, ხელს უნდა უწყობდეს როგორც ფილტვებისა და კუჭის, ისე ნერვიული სისტემის ჯანსაღობას. ეს მხოლოდ მალიარიის ბრალია თუ სინამდვილეში მოწინააღმდეგე მოვლენას ვხედავთ. მალიარია ასუსტებს ჩვენ სხეულს და ნიადაგს უმზადებს ყოველგვარ სნეულებას.

ამავე მიზეზით აიხსნება რამოდენიმეთ ჩვენი საერთო ზნეობრივი სენი—სიზანტე. ნორმალურ პირობებში ადამიანის სხეული არ შეიძლება ზანტი იყოს, მიტომ რომ შრომა მისი ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება სიამოვნებას უნდა ჰგვრიდეს ადამიანს და არა უკმაყოფილებას. თუ ჩვენში ეს ასე არ არის, თუ ქართველი კაცი შრომას ისე უცქერის, როგორც სამწუხარო ვალდებულებას, ეს სხვათა შორის მიტომ ხდება, რომ მისი ორგანიზმი უკვე შრომის დაწყებამდე ავადმყოფობითაა მოდუნებული და დაღლილი.

მართალია, საერთოდ უკულტურო ქვეყნების სენია, როგორც ხოლერა ან შავი ჭირი და გონებრივი საშუალებებით ადვილია მისი მოსპობა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე ჩრდილო იტალიის პროვინციები—პიემონტი, ლომბარდია, ვენეცია ციებ-ცხელების ბუდეს წარმოადგენდენ, მაგრამ დღეს იქ ეს სენი ისეთივე იშვიათი მოვლენაა, როგორც სხვაგან დასავლეთ ევროპის დაწინაურებულ სახელმწიფოებში. პირიქით სამხრეთ იტალიის უკან ჩამორჩენილ და ღარიბ პროვინციებში ციებ-ცხელება დღესაც მუსრს ავლებს მცხოვრებლებს. ჩრდილო იტალიელები ყველაზე ენერგიულ ხალხად ითვლებიან დასავლეთ ევროპაში: უმძიმეს სამუშაოს შვეიცარიასა, გერმანიასა და საფრანგეთში ლომბარდიიდან და პიემონტიდან გამოსული მუშები ასრულებენ. ნეაპოლელები და კალაბრიელები კი, პირიქით, ზარმაცები და უქმად მოხეტიალენი არიან. ასეთი სხვა და სხვაობა ჩვენს სამშობლოშიც ნათლად სჩანს და აქაც იმავე მიზეზით აიხსნება რამოდენიმეთ. რაჭველი გლეხი, მაგალითად, შრომაში უფრო ენერგიული და გამტანია, ვიდრე გურული, მიტომ რომ ნაკლებ დაავადებულია მალიარიით და მასთან შეკავშირებული სნეულებებით.

მალარიას ნიადაგის სინესტე ჰქმნის და არა ჰავის. წვიმიან და ბურუსიან გერმანიასა და ინგლისში ციებ-ცხელება სრულიად უცნობი მოვლენაა, მიტომ რომ ნიადაგი გამშრალია საგანგებო არხებისა, თხრილებისა და მცენარეების წყალობით. „ცა ფირუზ საქართველოში“ კი მას ყოველწლიურად ათასი და ათი ათასი მსხვერპლი ეწირება მიტომ, რომ დედამიწა ჭაობებითაა დაფარული, ხოლო მდინარეები ალაგ ალაგ გუბდებიან და კოლოების გამრავლებას ხელს უწყობენ. ამას ზედ ერთვის ისეთი მცენარეების სიხშირე, რომელნიც თხმელისა, ჭადარისა და ნერგის მსგავსად, უფრო სწამლავენ ვიდრე სწმენდენ ჰაერს.

ამ ეროვნული მტრის წინააღმდეგ ჩვენში ჯერ ჯერობით მხოლოდ ერთს საშუალებას სცნობენ: სახელდობ, ქინაქინას. ქინაქინა თავის თავად კარგი წამალია, მაგრამ ის საწამლავიც არის ამასთან ერთად. მოქმედობს არა მარტო ციებ-ცხელების, არამედ გულისა, სისხლისა და ყურთა სმენის წინააღმდეგაც. ამიტომ მის ხმარებაში დიდი დაზოგვაა საჭირო. ამას გარდა ქინაქინა ბოლო დროს მეტის მეტად ძვირფასი წამალიც გახდა.

როგორც გადამდები ავადმყოფობების წინააღმდეგ, ისე მალიარიის წინააღმდეგაც სოციალური ზომები უფრო რადიკალურად მოქმედობენ ვიდრე ვიწრო მედიცინური. ჭაობების ამოვსება, მდინარეების კალაპოტში ჩაყენება, ნიადაგის გაშრობა დრენაჟის შემწეობით, წიწვიანის ხეების გაშენება—აი ის გზა, რომელზედაც დასავლეთ ევროპამ გაიარა მალიარიასთან ბრძოლაში და ჩვენც უნდა განვლოთ თუ გვინდა, რომ ამ საშინელ სენს შესაფერი წინააღმდეგობა გავუწიოთ. სანამ ჩვენს პროვინციაში ერობა არ მოქმედობს, ამ სოციალური ზომების მისაღებად ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალების ამოქმედებაა საჭირო. ჩვენ გვგონია, რომ სოფლის ინტელიგენციას, რომელიც ამ ბოლო დროს პრაქტიკულ მოქმედების გზას დაადგა, ბევრი რამის გაკეთება შეუძლიან ამ მხრივ ერობის შემოღებამდეც. მართალია, ფართე დრენაჟისა და ირრიგაციისთვის ქართულ სოფელს სათანადო კაპიტალი არ გააჩნია. მაგრამ ისიც დიდი ბედნიერება იქნება, თუ ორიოდე ჭაობი მოისპობა და ორიოდე თხმელა ან ნერგი მოიჭრება. ამით მომავალ ერობას გაუადვილდება ჩვენი ქვეყნის გაჯანსაღების საქმე.

# საქართველოს ეკლესიის ქონება და მისი ბედი

ქართველი ერის ქრისტიანული რელიგია საუკუნოების განმავლობაში იკაჟებოდა, მისი ზრუნვა ეკლესიისადმი უკიდურესობამდე აღწევდა და აკი ამისათვის იგი არც ქონებას და არც სიცოცხლეს არ იშურებდა.

როგორც ქართველი მეფენი, აგრეთვე უბრალო მომაკვდავნი ეკლესიისადმი ზრუნვით იყვნენ გაქლენთილნი და ეკლესიაში ჰპოვებდნენ როგორც სულიერ სიმშვიდეს, ეგრეთვე გმირულ თავგანწირულებას. ჩვენს ისტორიის ფურცლებზე ძნელად თუ შეჰხვდება ადამიანი ისეთ ადგილს, სადაც კი სამშობლოს განსაცდელის დროს მოძღვარი ჯვარით ხელში არ მოვლინებოდა მხედრობას და ამ უკანასკნელს თავისი სიცოცხლე მტლად არ დაედო სამშობლოსათვის.

ამ გვარი ურთიერთობა სუფევდა ერსა და ეკლესიას შორის, ვიდრე ქართულმა ეკლესიამ არ დაჰკარგა ეროვნული სახე და მის მფარველად უწმიდესმა სინოდმა თავისი თავი არ გამოაცხადა. უწმიდესი სინოდის და ადგილობრივ ადმინისტრატორის ტარმალოვის საქმენი ერთად იქმნენ აწონილ-დაწონილი ისე ხელოვნურად, რომ მის შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლება მოისპო, თვით რელიგიის ყოფნა არ ყოფნის საკითხიც დაისვა და ეს ჩვენ მტერმოყვარეთათვის ერთგვარ მიზანს შეადგენდა. ქართველ ერში გამეფდა ინდიფერენტიზმი რელიგიისადმი და აკი მისი ბედი დღეს მას ნაკლებ აინტერესებს. რუსეთის მთავრობა 1811 წლიდან ერთის ხელით უსპობს ჩვენს ეკლესიას ისტორიულ-იურიდიულ უფლებებს, მეორეთი კი მას ძალით თანდათანობით ართმევს იმ ძვირფას ქონებას, რომელიც ხმარდებოდა ძველად როგორც ეკლესიებს და მათ მესვეურთ, აგრეთვე მომეტებული ნაწილი ქონების შემოსავლისა ეროვნულ საქმეს.

ჩვენ მეტად არა ვთვლით მკითხველ საზოგადოებას გავაცნოთ სტატისტიკური ცნობანი ივერიის ეკლესიის ქონებისა, რომელიც რუსეთის მთავრობამ მას ჩამოართვა და სახელმწიფო ქონებად გადააქცია (ცნობები Toncmelis და სხვა მასალებიდან მოგვყავს).

ქართულ ეკლესიას ჩამოერთვა:

1. ქართლ-კახეთის ეპარქიაში: 1853 წლის აღწერილობით საეკლესიო და სამონასტრო გლეხკაცობა, რომელნიც მათ მიწა-წყალზე მოსახლეობდნენ 8.487 კომლი.

**ქონება თბილისში.**

გოგირდის აბანო, რომელსაც დღეს ირაკლისეულს უწოდებენ.

400 დღიურამდე მიწა სხვა და სხვა ადგილას: კუკიაში, კრწანისში, ნავთლუღში, სოლოლაკში, მთაწმინდის ქვემოდ და ძველ ტამოჟნაზე. ამის გარდა სასახლე ადგილები 36 დღიურამდე შეადგენს ვერაზე, ორთაჭალაში და სოლოლაკში; 13 ბაღი 10 დღიურამდე, კრწანისში ერთი ქვის მაღარო, 11 სახლი, 28 დუქანი და ერთიც სამღებრო. ფსავის მიდამოებში კათოლიკეთა ბაღის ქვემოდ ერთი სათევზაო ადგილი.

**თბილისის გუბერნიაში**

160.000 დღიური სათესი ეკლესიის მამული, რომელსაც გლეხები ამუშავებდნენ; სათიბი და საძოვრები ადგილები 80.000 დღიური; ტყე—146.000 დღიური, სულ ერთად 436.000 დღიური.

ამათში სახნავი 22.000 დღიური, სა-

...ია; ...ღღი- ...იური, ...ში და ...ი, ოთხი ...ხევში, წი- ... კრამიტის ...ი ჩალის ად- ... (თელავის მაზ- ...ძიწა, 13 წისქვი- ... სახლი და 9 სა-

...2.000 დღიურს შეა-

...ევზაო ადგილი: ერთი ...ლაზანზე, სოფ. ბაქტრიონ- ...ადგილამდე, სადაც ალაზანს ... სტორი ერთვის, ერთიც სოფ. ...ევანში.

**II იმერეთის ეპარქია:**

1859 წლის აღწერილობით გლეხები 5021 კომლს შეადგენენ, ამათში 315 კომლი საეკლესიო მამულით არ სარგებლობდა. საეკლესიო მამული, რომელიც გლეხებს ეჭირათ 27.000 დღიურს შეადგენდა, ტყე 18.750 დღიური.

სადაც არ მოსახლეობდნენ და სახნავს, საბალახეს, ბაღებს და სასახლე ადგილს 11.200 დღიური, ტყე 24.000 დღიური.

**III გურიის ეპარქია:**

1865 წლის აღწერილობით გლეხები 639 კომლს შეადგენდნენ, ამათში 40 კომლი საეკლესიო მამულით არ სარგებლობდნენ. გლეხები ამუშავებდნენ 600 დღიურს, 102 დღიური ტყე, ბაღები 3.428 დღიური.

ეხლა შევეხებით იმას, თუ რა ღირებულებას შეადგენს ქართულ ეკლესიის ქონება, რომელიც სახელმწიფოს გადაეცა.

**ქ. თბილისში და მის მიდამოებში.**

ირაკლის აბანო, 13 ბაღი, ქვის მაღარო, 11 სახლი, 28 დუქანი, ერთი სამღებრო, ერთი სათევზაო ადგილი, ქარვასლა და 436.000 დღიური მიწა თბილისში (საჟენი 50 მან. ვიანგარიშოთ, თუმცა დღეს საჟენი 200 მ. მეტი ფასობს) დღიური 50 მან. სულ ერთად 500 მილიონ ღირებულებას აღწევს.

**თბილისის გუბერნიაში.**

მიწა 558.023 დღიური, დღიური 500 მან. რომ ვიანგარიშოთ 139.556.250 მან. ღირებულობას შეადგენს.

2 საგაჯე ადგილი, 4 საკირე, კრამიტის ქარხანა მცხეთაში, 13 წისქვილი, 13 დუქანი, 5 სახლი, 9 სამღებრო, 2 სათევზაო ადგილი — **1 მილიონი**. სულ ერთად **140.556.250 მან.** შეადგენს.

მთელ ქართლ-კახეთის ქონების ღირებულება **514 055,625 მან.** შეადგენს.

**იმერეთის ეპარქიაში.**

მიწა—80.950 დღიური, დღიური, რომ 500 მან. ვიანგარიშოთ, შეადგენს **40.475,000 მან.**

**გურიის ეპარქიაში:**

მიწა—4.328 დღიური—**2 მილიონი.**

ამგვარად ივერიის ავტოკეფალურ ეკლესიის ქონება, რომელიც მას ჩამოერთვა და ხაზინას გადაეცა, სულ ცოტა **556.530.625 მან.** ღირებულებას შეადგენს.

ივერიის ეკლესიას მოუსპეს თუ არა ავტოკეფალური უფლებები, მაშინვე ჩამოართვეს მას კეთილ სინდისიერად შეძენილი ქონება. ამოდენა სიმდიდრის მქონე ივერიის ეკლესია, დღეს უნუგეშოდ არის დატოვებული და ნგრევის ხანას განიცდის. პროფესორი ალ. ცაგარელი თავის წიგნში ერთ ადგილას სამართლიანად გამოსთქვამს აღშფოთებას იმის შესახებ, რომ რუსეთის ერთ მორწმუნე მთავრობამ შეურაცჰყო ქართველი ერის გრძნობა, როდესაც იგი ქართულ ეკლესიის ქონებას შეეხო.

ეს მით უფრო გასაოცარიაო, დასძენს პროფ. ცაგარელი, რომ ქართული ეკლესიის ქონება თვით არაბების, მონგოლების, ოსმალთა და სხვათა მფლობელობის დროსაც კი ხელუხლებელი იყოვო.

დღეს როდესაც ივერიის ეკლესიის საკითხი მკათიოდ არის დაყენებული და გადაჭრას მოითხოვს, ჩვენ ივერიის ეკლესიის ისტორიულ უფლებების აღდგენასთან ერთად, მისი ისტორიული ქონებრივი უფლებანი არ უნდა დავივიწყოთ კანონიერი უფლებების დაბრუნება უქონებოდ უბრალო ჩონჩხს დაემსგავსება.

**უფლება და ქონება!**,—აი, რა დედა აზრი უნდა ასულდგმულებდეთ იმათ, ვინც დღეს ივერიის ავტოკეფალურ უფლებებზე ზრუნავს.

**ჩ. კაპანაძე.**

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

საბერძნეთის გამოურკვეველ მდგომარეობას უკვე თავისი შედეგი მოაქვს. მოკავშირეთა ჯარი, დაბანაკებული სოლუნში, უმოქმედოთ სდგას და შორიდან უმზერს რუმინეთის ყოფას, რომლის წინააღმდეგ, როგორც ახლა ირკვევა, ბოლგარელებს და გერმანელებს დიდი ძალებით დაუწყვიათ სამხრეთ ასპარეზზე ოპერაციების წარმოება. ამავე დროს, თუ კი დაუჯერებთ ნეიტრალურ სახელმწიფოდან მოსულ ცნობას, ბოლგარელები გენ. სარაილის ჯარსაც კი უტევენ. მათ ქ. კაეალა ჩაუგდიათ ხელში. ამგვარ უმოქმედობის მეზეზია, რასაკვირველია, საბერძნეთი. მოკავშირეები კარგათ გრძნობენ, რომ მათ ზურგი უზრუნველ ყოფილი არა აქვთ. არც იმაში არიან დარწმუნებულნი, რომ ერთს მშვენიერ დღეს მათ ორივე მხარეზე არ მოუხდებათ ბრძოლა. საბერძნეთის განწყობილება მათდამი გაურკვეველია. თუ ერთი ნაწილი ვენიზელოსის მეთაურობით დიდს სიმპატიებს, სიყვარულს და გამარჯვების სურვილს უცხადებს, სამაგიეროდ მეორე ნაწილი ხელმწიფის ნებადართვით ყოველ ღონეს ხმარობს გენ. სარაილის ჯარი განსაცდელში ჩააგდოს. ცნობა იყო ამ ორი-სამი დღის წინეთ, ვითომ მოკავშირეებმა განზრახული შეტევა ბულგარელების წინააღმდეგ იმიტომ შეაჩერეს, რომ მთელი გეგმა და ჯარის განაწილება მტერს უკვე გადაცემული ჰქონდა ბერძენთა მეოხებითო. სწორეთ ამ გარემოებას აუძულებია საფრანგეთის და ინგლისის მთავრობა მოეთხოვა საბერძნეთისათვის თავისი კაცების ყოლა ფოსტა-ტელეგრაფში. თვით საბერძნეთში საშინელი ბრძოლაა ორ მოპირდაპირეთა შორის. გერმანოფილები და ფრანგოფილები ერთი მეორის წინააღმდეგ იარაღსაც კი ისხავენ.

სოლუნში საბერძნეთის ჯარის ერთი ნაწილი აჯანყდა და მოკავშირებთან ერთად მოქმედებას თხოულობდა. უკანასკნელ დღეებში მოსული ცნობები თითქოს იმედს იძლეოდა. ყველას ეგონა ზაიმისის გადადგომის შემდეგ საბერძნეთი ახალ გარკვეულ პოზიციას დაიკავებდა. ამავე დროს ასახელებდნენ ვენიზელოსს და დიმიტრაკოპულოსს. უკანასკნელი მეფემაც კი ინახულა. ვინ იყო თავის შეხედულობით ეს საბერძნეთის სახელმწიფო მოღვაწე, ემხრობოდა გერმანოფილებს თუ ვენიზელოსის მომხრეებს, არავინ იცოდა. რაც გინდა იყოს თვით ზაიმისის წასვლა მაინც ნიშნავდა პოლიტიკის შეცვლას. გუშინდელი ცნობები საბერძნეთიდან სულ წინააღმდეგს გვეუბნება. დიმიტრაკოპულოსს უარი განუცხადებია კაბინეთის შედგენაზე და მეფეს ისევ ზაიმისი მოუწვევიაო. ცხადია დღეს-დღეობით საბერძნეთს ისევ ძველი გზა რყევისა აურჩევია.

ასეთი გამოურკვეველი მდგომარეობა ხელსაყრელია მხოლოდ გერმანეთისათვის. უკანასკნელს საშუალება ეძლევა ფართოდ დააწყოს რუმინეთს და შეეცდება ძალიან მალე გადასწყვიტოს რუმინეთის ბრძოლის ველის ბედ-იღბალი. დღეს გაჩაღებული სასტიკი ბრძოლა სამხრეთ ასპარეზზე სწორედ იმით აიხსნება, რომ გერმანეთი ჩქარობს, გაბედულად უტევს, რათა დრო მოიგოს და სანამ საბერძნეთი ამა თუ იმ გზას დაადგება, ერთს, ახალს მოპირდაპირეს მაინც, ბრძოლის უნარი სავსებით მოუსპოს.

არა გვგონია მოკავშირეებმა ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქციონ. რუმინეთის დამარცხება ბალკანეთის სამუდამოდ ხელიდან გაცლას უდრის. მაშინ ვეღარც საბერძნეთის ჩარევა გამოასწორებს შეცდომას. აი ამიტომ ჩვენ იმედი გვაქვს საბერძნეთის წინააღმდეგ არავითარ საშუალებას არ მოერიდებიან და აიძულებენ სთქვას თავისი გადაწყვეტილი სიტყვა.

თითქმის ერთი კვირა სრულდება, რაც რუსეთის მთავარი შტაბი ყოველ დღე გვატყობინებს ბრძოლის ველზე მდგომარეობა უცვლელიაო. ეტყობა უამინდობა იმდენად შეუძლებლად ხდის მიმოსვლას, რომ საომარ ასპარეზზე თავისთავად მყუდროება გამეფებულა.

ადრევე ჩვენ ამ გარემოებას მეტად დიდ მნიშვნელობას ვაძლევდით. ვფიქრობდით, ბალკანეთში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა ორივე მოპირდაპირესთვის, რომ იძულებული გახდებოდნენ აქტიური მოქმედება აქეთკენ გადმოეტანათ, თუ მთავარ ბრძოლის ველი ოდნავ და დროებით მაინც მიყუჩდებოდა. ასეთი მდგომარეობა უკვე დამყარებულა და, რასაკვირველია, როგორც რუსეთი ისევე გერმანეთი შეეცდებიან რუმინეთში ერთიმეორის წინააღმდეგ დაიწყონ შეტევა.

ბალკანეთის დახსნა ისევე რუსეთის მხედრობას ხვდა წილად. კიდევ ერთხელ მოირწყვება სისხლით ნაცნობი ადგილები. ვერც საფრანგეთი და ვერც ინგლისი იმდენად ვერ მოიცლიან, რომ აქ რუსეთს არსებით დახმარება გაუწიონ. თვით რუმინეთიც მხოლოდ რუსეთის იმედით არის გამოსული და მხოლოდ უკანასკნელის დახმარებითაც მიაღწევს თავის მიზანს.

დობრუჯაში დაწყობილი ბრძოლა იმის მომასწავებელია, რომ რუსეთის ჯარი უკვე ჩავიდა ამ მხარეში და პირისპირ შეხვდა თავიანთ მოძმეებს.

ეტყობა მართლაც აქ სასტიკი შეტაკებები ხდება, რომ დღევანდლამდე დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა. ჯერ-ჯერობით არც ის ვიცით, გადალახეს თუ არა მდ. დუნაი გერმანელებმა და ბულგარელებმა ქ. ტურტუკაის აღების შემდეგ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სხვა მიზანი მოპირდაპირეს არც კი ექნებოდა.

დასავლეთის ბრძოლის ველზე ფრანგები და ინგლისელები სასტიკ იერიშებს აწარმოებენ და ალაგ-ალაგ წინ მიიწევენ.

X.

# ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი**, 2 ენკენისთვე. ოფიციალი. დასავლეთ ასპარეზი. საერთო მდგომარეობა უცვლელია.

**კავკასიის ასპარეზი.** ქურთების მოქმედება კიგის სამხრეთ-დასავლეთით გრძელდება. ბითლისის მიმართულებით, ჩვენმა მოწინავე რაზმებმა სოფ. ჩუხურ-ნორშენიდან სოფ. ჩავკისკენ ქურთები უკან დასწია. ზღვის ნაპირებით და გიუმიშხანის მიმართულებით სიცივეები დაიწყო, ადგილ ადგილას არშინზე მეტი თოვლი დასდო.

**ბუქარესტი**, 1 ენკენისთვე. რუმინეთის ოფიციალი ცნობა. ტეჟვრში, მაროშის ველზე ხელთ ვიგდეთ ტყვიაწამალი და ამუნიცია. ჩვენმა ჯარმა ალიუტის მიდამოებში წინ წაიწია, დაიპყრო ბაროლტის და ბოგატაოლტეანუს ადგილები, სიბიუს სამხრეთით და ხელთ იგდო ჯავშნოსანი მატარებელი.

**სამხრეთი ასპარეზი.** დობრუჯაში მკაცრი ბრძოლა დაიწყო.

**პარიზი**, 2 ენკენისთვე. ოფიციალი. სომის ჩრდილოეთით, გუშინ ფრანგებმა მკაცრი იერიშის შემდეგ რანკურის სამხრეთით, გერმანელთა თხრილები დაიპყრეს. ფლერის აღმოსავლეთით გერმანელებმა იერიშები განაახლეს, მაგრამ ძლიერ დაზარალდნენ. სომის სამხრეთით ფრანგებმა გერმანელთა იერიშები მოიგერიეს. მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელებმა ვოს ფორტზე ორჯელ იერიში მიიტანეს, მაგრამ ტყვიისმფრქვეველების დახმარებით მოვიგერიეთ.

**პარიზი**, 1 ენკენისთვე. ოფიციალი. სომის ჩრდილოეთით, კომბლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, იერიშით დეპრიოს ფერმა ავიღეთ. ბუშაიენას ჩრდილოეთით და სამხრეთით მკაცრი ბრძოლაა, ჩვენ ბრძოლის ასპარეზი გავაფართოვეთ. სოაის სამხრეთით ყუმბარების საშუალებით ბელუა-ანსანტერის აღმოსავლეთით წავიწიეთ. სხვა ადგილებში სიმშვიდეა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ტურტუკაი**

მკაცრი ბრძოლის შემდეგ, რომელიც ოთხი დღე და ღამე გრძელდებოდა, ბულგარელებმა შესძლეს ტურტუკაის დაპყრობა. მიუხედავად იმისა, რომ რუმინელები გმირულად იბრძოდნენ, მაინც ვერ შესძლეს ბულგარელთა შეჩერება და უკან დაიხიეს. ტურტუკაის დაკარგვამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რუმინეთის ოფიციალი აღნიშნავს რა ტურტუკაისთან დროებით დამარცხებას, ამშვიდებს მცხოვრებლებს და ურჩევს აუშფოთებლივ შეჰხვდნენ ყოველ ამბავს. რუმინეთის გამოჩენილი პუბლიცისტი კონსტ. მილე „ადევერულ"-ში სწერს: ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ ეს დამარცხება დროებითია. ომის დროს მხოლოდ გამარჯვების დროს არ შეიძლება ვილაპარაკოთ. გერმანელები პარიზს მიუახლოვდნენ, მაგრამ ფრანგებმა მარნაჰე და იზერზე დაამარცხეს და უკან დაახევინეს. ამ გვარი იმედით უნდა ვიყოთ დღეს ჩვენც გატაცებულნი.

„უნივერსული" სწერს: რუმინელები გულგრილად უნდა შეჰხვდნენ დამარცხებას და კვლავ უნდა ირწმუნონ, როგორც ჯარის, აგრეთვე სარდალთა სიძლიერე.

ბუქარესტში მრავალი დაჭრილი ჯარისკაცები მოიყვანეს, რასაც ხალხი სიმშვიდით შეჰხვდა.

**ბულგარეთი.**

ბერლინის გაზეთები იუწყებიან: ბულგარეთში რუსოფილთა პოლიტიკური მოღვაწეთა დევნა დაიწყო. მათ ბრალსა სდებენ მოკავშირეთა სასარგებლოდ მოქმედებაში. ელიან დიდ პოლიტიკურ პროცესს.

**ბულგარეთის მეფე ბერლინში.**

„ბერლინერ ტაგებლატი", რომელიც გერმანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებულია, იტყობინება, რომ ბულგარეთის მეფის და მემკვიდრის დარბაზობა ბერლინში უბრალო საქმედ არ უნდა ჩაითვალოსო. ბერლინში განიხილავენ პოლიტიკურ და სამხედრო ხასიათის კითხვებს, რომლებიც რუმინეთის ომში ჩარევამ წამოაყენა.

**შეთანხმებული სამინისტრო.**

„ნაციონალ ტიდენდე"-ს ბერლინიდან ატყობინებენ: როგორც ბუდაპეშტში ფიქრობენ, ტისას წასვლა ვენაში დაკავშირებულია შეთანხმებულ სამინისტროს შედგენასთან. ამ საკითხს განიხილავს ტისა ფრანც-იოსებთან და ავსტრიის მინისტრებთან ერთად.

**ვილჰელმი და ფერდინანდი**

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ავსტრია-გერმანეთის შტაბში ფერდინანდ ბულგარელი ორი ადიუტანტის თანხლებით მოვიდა ვილჰელმთან მოსალაპარაკებლად. სამხედრო თათბირში მაკენზენიც მიიღებს მონაწილეობას.

# უკანასკნელი დეპეშები

**„ნოვოე ვრემია" ათინაში მომხდარ ამბის შესახებ სწერს: შეთქმულობას მიზნად ჰქონდა დახხული ერთის დაკვრით მოკავშირეთა წარმომადგენელნი, რომელნიც საფრანგეთის მისიაში სათათბიროდ შეკრებილიყვნენ, მოესპო და მით საბერძნეთიც ომში ჩაერია. ეს შეთქმულება, ამბობს გაზეთი,—უნდა თავშივე ჩაიხშოს, თორემ უკიდურეს შემთხვევაში საბერძნეთში ახალი ამბების მოწამენი გავხდებით.**

—

**მეფე ფერდინანდი და ბატონიშვილი ბორისი ბერლინში ჩავიდნენ. გერმანეთი მთავარ შტაბთან ითათბირეს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ რუმინეთის წინააღმდეგაო.**

—

**ათინიდან დეპეშით იტყობინებიან: ზაიმისმა თანამდებობიდან გადადგომა იმით დაასაბუთა, რომ მას არც ერთი პოლიტიკური პარტია არა ჰყოლია მომხრე, რომელზედაც მას დაყრდნობა შესძლებოდეს. მომუშავე კაბინეტი, განუცხადებია ზაიმისს,—დღევანდელ პირობებში საქმეს სათავეში ვერ მოექცევაო.**

—

**ლონდონიდან იტყობინებიან: საბერძნეთის ოთხთა კავშირის წარმომადგენლებს საბუთები აქვთ, საიდანაც ნათლადა სჩანს, რომ ათინიდან გადასახლებულმა გერმანეთის აგენტმა ბარონ შენკმა საკმაო ფული დასტოვა ათინაში არეულობის მოსაწყობად, რათა მით ხელი შეეშალონ გენ. სარაილის მაკედონიის ასპარეზზე შეტევის დროსაო.**

—

**„უტრო როსია" იუწყება: ბერლინში ირწმუნებიან, რომ ავსტრიის ასპარეზზე საკმაო ცხენოსანთა ძალა მოვიდაო.**

—

**ბუქარესტთან ახლო მახლო მცხოვრებნი მშვიდობიან ცხოვრებას განაგრძობენ. მეფე დობრუჯის ასპარეზზე იმყოფება. სამეფო გვარი და მთავრობა, როგორც ხმა გავრცელდა, რუმინეთის ჩრდილო აღმოსავლეთით გადასახლდა.**

—

**გერმანეთის შტაბი პირველად აღნიშნავს, რომ გერმანელ ბულგარელთა ჯარებს დობრუჯაში მაკენზენი სარდლობს.**

—

**ათინიდან იტყობინებიან: მეფესთან აუდიენციის დროს დიმიტრაკოპულომ კაბინეტის შედგენაზე უარი განაცხადა. ხმები დადის კაბინეტს კვლავ ზაიმისი შეადგენს.**

—

**„რან. უტრო" სიტყვით ფრანციოსები მხედველობაში ჰყავთ [illegible] მარჯვენა ფლანგით [illegible].**

—

**ბერლინის ოფიციალი იტყობინება, რომ კოვალა ბულგარელებმა დაიპყრეს.**

—

**სამხედრო პირები ფიქრობენ: რიგის ხრუტის გარღვევას მოწინააღმდეგე სერიოზულად არ აპირობდა, მაგრამ შეიძლება, რომ ბოლო დროს რიგის ხრუტის გარღვევა მოახდინოხო.**

—

**რუსების შეტევა გალიჩთან და სტანისლავოვთან დროებით შეჩერებულია, რადგანაც საჭირო ადგილები უკვე დაიპყრეს და ბუნებრივ საზღვრებამდე მივიდნენ, რამაც ავსტრიელებს ხელი შეუშალა ტრანსილვანიაში მაშველი ჯარი გადაეყვანა.**

—

**უწმ. სინოდის ახლად დანიშნულს ობერ-პროკურორს რაევს სემინარიის ოთხი კლასი გაუთავებია, და შემდეგ ლაზარევის ინსტიტუტში აღმოსავლეთ ენის ფაკულტეტზე გადასულა, უმაღლესი საუფლისწულო უფლებაში, შემდეგ გადაუყვანიათ სამინისტრო სკოლების ინსპექტორად და ვოლოგოდის და კურსკის სკოლების დირექტორად. მან დაარსა ქალთა უმაღლესი ისტორიკო-ლიტერატურული და იურიდიული კურსები.**

# ახალი ამბავი

✦ **სასახლეში.** მეფის ნაცვლის მეუღლეს დიდ მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასულს წარუდგა თბ. წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის უფროსი კნ. რ. დ. მელიქიშვილისა.

✦ **მცხოვრებთა კომიტეტები.** მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი პ. ვ. ისტომინი გუშინ ქალაქის მოურავმა ალ. ი. ხატისოვმა ინახულა და სთხოვა საბჭომ დაამტკიცოს მცხოვრებთა კომიტეტების დებულების დამტკიცება. ბ. ისტომინმა აუწყა, რომ ამ მოკლე ხანში საბჭო შეუდგება მთელი კავკასიისათვის საერთო დებულების განხილვას.

✦ **ამერიკის ვაგონები.** გუშინ თბილისში ჩამოვიდა ამერიკის ვაგონების მთელი მატარებელი, ფქვილით დატვირთული.

✦ **სასულ. სემ. ქუთაისში.** ქუთაისის სასულიერო სემინარიის ბედი უკვე გადაწყდა. დროებით თბ. სასულიერო სემინარიის პირველ სამი კლასის პარალელური კლასი გადააქვთ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან. სინოდმა უკვე დანიშნა სამი მასწავლებელი სამოქალაქო ისტორიისა, ლათინურ ენისა, რუსულ სიტყვიერებისა და რუსულ ლიტერატურის ისტორიისა.

✦ **ერობა ამიერ კავკასიაში.** 10 ენკენისთვეს სახელმწიფო სათათბიროს სამიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგი ბ-ნი რჟევსკი კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხსენებას წაიკითხავს ამიერ კავკასიაში საერობო რეფორმების შესახებ. ამ საგანზე ბ ნმა რჟევსკიმ უკვე ილაპარაკა ქუთაისში და მის შეხედულებას კავკასიის ერობის შესახებ რამდენიმედ იცნობს ქართველი საზოგადოება. მაგრამ რადგან ბ ნი რჟევსკი მომხსენებლად უნდა გავიდეს სახელმწიფო სათათბიროში ამ დიდმნიშვნელოვან რეფორმების შესახებ, მისი მოსმენა 10 ამა თვეს ფრიად საყურადღებო საქმეა.

✦ **სკოლის საჭიროება ჭანეთში.** ბათომის რაიონულ [illegible] სახ. განყოფილებამ აცნობა მთავარ გამგეობას, რომ განყოფილების გამგეობამ გაითვალისწინა რა ჭანეთის მდგომარეობა ყოველ მხრივ საჭიროდ სცნო ხოფის რაიონში სოფ. [illegible] ხლაზში გახსნას ერთი [illegible] და სთხოვს საჭირო ფულის გამოგზავნას სკოლის მოსაწყობად ერთ დროულად საჭიროა 800 მან., ხოლო ყოველთვიურად 225 მანეთი.

✦ **ანკეტა.** მიწად მოქმედების [illegible] რწყუნებულის სასტატისტიკო ბიურო [illegible] აგრონომებს და სოფლის მეურ[illegible] დაუგზავნა საანკეტო ფურცლები [illegible] 800 ცალამდე. ფურცლებში [illegible] 40 კითხვამდე აძლევს მეურნე[illegible] და აგრონომებს და სთხოვს [illegible] ეს ცნობები არა უგვიანეს 15 [illegible] ისთვისა წარმოადგინონ.

✦ **დაჭრილთა ევაკუაცია.** გუშინ ჩრდილო კავკა[illegible]აში გაამგზავრეს ქალაქის საავა[illegible] მყოფობიდან 600 სული დაჭრილ[illegible] და დაავადებული ჯარის კაცი.

**წყაროს წყალი.** დღეს 4 ენკენისთვეს მიემგზავრება დუშეთის მაზრაში მუხრან ბულარაურ ნატახტრის წყაროების დასათვალიერებლად ქალაქის წყალსაყვანის ბიუროს წევრები ინჟ. ალაბაბოვთან ერთად.

**დაბრუნდა** შავი ზღვის პირის ოლქიდან სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი ე. მ. კისელევსკი.

**საქართველოს ეგზარხოსი** გუშინ დილით ბორჯომიდან თბილისს დაბრუნდა.

**ფშაველების დეპუტაცია.** თბილისში ჩამოვიდა პანკისის ხეობის (თიანეთის მაზრა) ფშაველების საგანგებო დეპუტაცია თბ. გუბერნატორთან წარსადგენად. ფშაველები გუბერნატორს იარაღს სთხოვენ ქისტებისაგან თავის დასაცავად.

**მოხელეთა კოოპერატივში.** დღეს 4 ენკენისთვეს ზუბალაშვილისეულ სახალხო სახლში დილის 10 ს. დანიშნულია დამფუძნებელი კრება მოხელეთა კოოპერატივისა. კრებას მოხსენდება საზოგადოების მიზნისა და გეგმის შესახებ განსაკუთრებით შემდგარი მოხსენება და აგრეთვე თვით წესდება მეფის ნაცვლის მიერ დამტკიცებული. ამავე კრებაზე მოხდება არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრი.

**ხუცთუბნის სკოლასთან** სამეურნეო განყოფილების დასაარსებლად ქართვ. საქველმოქმედო საზ. გამგეობამ გადასდო 4 ათასი მანეთი და მისწერა ბათომის განყოფილებას დაუყოვნებლივ შეუდგნენ სამეურნეო განყოფილების გახსნას.

**ყოროლისთავის სკოლის** შენობის დასამთავრებლად ქ. საქ. საზ. გამგეობამ 500 მანეთი გადასდო.

**სამეცნიერო მოხსენება.** 2 ამა თვეს გეოგრაფიულ საზოგადოების დარბაზში, მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოების თბილისის განყოფილების კრებაზე, საინტერესო მოხსენება წაიკითხა ვარშავის უნივერსიტეტის საანტროპოლიგიო ლაბორატორიის ასისტენტმა, სამეცნიერო საზოგადოების წევრმა სტეფანე კრუკოვმა, მოხსენება შეეხებოდა მისსავე გამოკვლევას შორაპნის მაზრაში, ეგრედ წოდებულ გვარჯელას კლდეში. ბ-ნს კრუკოვს იქ უპოვნია ძველთა-ძველი ნივთები ქვებისა, კაჟისა, რქებისა, ძვლებისა და სხ., რომელნიც წარმოადგენენ სხვა და სხვა სახის იარაღს და მორთულობას და ეკუთვნის ქვის ხანას. გამოქვაბულის მცხოვრებნი, მოხსენებლის აზრით, მისდევდნენ ნადირობას და მეთევზეობას, იცოდნენ კერვა და სადღვებვის კეთება. ისინი აგრეთვე ვაჭრობასაც მისდევდნენ. ჰყიდნენ უმეტეს ნაწილად ობსიდონს (ვულკანიურ მინებს). ამ გამოქვაბულში ხალხი ცხოვრობდა 15—18 ათასი წლის წინად.

**ლექცია.** ოთხშაბათს, 7 სექტემბერს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ახალგაზდა ლექტორი გრიგოლ ხაინდრავა წაიკითხავს სახალხო ლექციას შემდეგ თემაზედ: „საერთაშორისო მსოფლიო ომი და ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მიმოხილვა.

**უფასო ბილეთები ტრამვაიზე.** ქალაქის ტრამვაის კომისიამ დაადგინა: წლიურ ბილეთებისა მგზავრს გადახდევინოს 96 მან. წელიწადში 1 იანვრიდან მეორე წლის იანვრამდე ითვლება. თუ მგზავრმა ბილეთი შუა წელში შეიძინა, მაშინ თვეში 8 მან. კვალობაზე გამოერთმევა: უფასო ბილეთები ყველას უნდა მოესპოს, მოსამსახურეებისა და მათ ოჯახების გარდა. ქალაქის გამგეობის იმ მსახურთ, ვისაც დღემდე უფასო ბილეთი ჰქონდა, ჯამაგირიდან შესაფერი გადასახადი უნდა დაეჭიროს.

**მაჰმადიანთა ლოცვა.** 2 ენკენისთვეს მაჰმადიანთა მეჩეთში გადახდილ იქმნა სამადლობელი ლოცვა მაჰმადიანთა ჯარში გაწვევის უქმნის უ ჰილლესად შეცვლის გამო.

**ხოლერა.** 2 ენკენისთვეს ხოლერიანთა საავადმყოფოში ირიცხებოდა 103 სული. 2 ახალი ავადმყოფი მი იყვანეს. 3 ენკენისთვეს დილის 8 საათ ზე ირიცხებოდა 104 ხოლერიანი, 1 საექიმო.

**ტყვე ქართველ მეომართა დახმარების** ამლოისარჩენად კნ. ა. გ. თარხნიშვილისა და ს. ახალქალაქში დაუარსებია კომიტეტი, რომელიც იზრუნებს გამხმარ პურის (სუხარის) მიწოდებას. ქ-ნ თარხნიშვილისამ შუამდგომლობა აღძრა ქ. საქ. მოქ. საზ. გამგეობის წინაშე, რომ ყუთების შესაძენად მიეცეს დახმარება. გამგეობამ მოისმინა რა მისი თხოვნა, დაადგინა ეთხოვოს ქ-ნ თარხნიშვილისას და საერთოდ ყველა ადგილობრივ კულშემატკივართ ადგილობრივ საშუალებებით გაუგზავნონ ტყვეებს „სუხარი“, საზოგადოება მათ თავის მხრივ ეხმარება ფულით.

**მკვლელობა.** როგორც გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ ს. წალასკურში ნათესის წახდენის გამო ჩხუბის დროს ივანე თამხაძეს ხანჯლით მოუკლავს მიხეილ ძამალაშვილი.

**მომხმარებელი ამხ.** ზაქათალის ოლქის ს. ალიაბადის სოფლის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე მომხმარებელ ამხანაგობის დაარსების შესახებ ს. ალიაბადში.

**სკოლა ტყეში.** არჯევანიძის სატყეო სკოლაში დამთავრდა სწავლა 30 მარიამობისთვეს. სულ 40 ბავშვი იყო წელს სკოლაში, მათ შორის რუსი 9, ქართველი 18, სომეხი 9, მაჰმადიანი 3 და ებრაელი 1.

**თანამდებობიდან გადადგომა.** სამხედრო სამრეწველო კომიტეტის სასოფლო სამეურნეო ნაწილის თავმჯდომარე გ. გ. შადინოვი სამსახურიდან გადადგა. დაჭრილთა კომიტეტის თავმჯდომარე თ-დი ალ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა სამსახურს თავი გაანება.

**გაემგზავრა კახეთს** ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრი ვ. ი. რცხილაძე, რომელსაც დავალებული აქვს ს. იყალთოს მემამულის თ-დ მაყაშვილის შეწირულების საქმეს მოწესრიგება.

**საიუბილეო კომისიას,** რომელსაც მინდობილი აქვს ვ. გუნიას იუბილეს მოწყობა, ამ დღეებში ექნება სხდომა საბოლოო პროგრამის შესამუშავებლად.

**ხარფუხის კლუბის** მამასახლისთა საბჭომ გადასცა ასი მანეთი მაჰმადიანთა საქვ. მოქ. საზოგადოებას და მაჰმადიან ქალთა საქვ. საზოგადოებას.

**სოფ. თოკის სკოლის** მასწავლებლად ქართ. საქვ. მოქმ. საზ. გამგეობამ დანიშნა მასწავლებელი ქალი ქ-ნი ბრეგვაძე.

**აჭარის სკოლებში.** ბათომის რაიონის განყოფილებამ აცნობა მთავარ გამგეობას, რომ აჭარის სკოლების მასწავლებლად დაინიშნა: 1) წყალსიმერის სკოლაში, რომელიც ენკენისთვეში გაიხსნება—მიხ. იოს. ქიქოძე და მისი მეუღლე, 2) ზემო აგარის სკოლის მასწავლებლად—ვერა გიორგ. მგალობლიშვილი; 3) ჩხუტუნეთის სკოლაში: ემილია ივ. სიმონიძე; 4) ქვემო აგარაში: არეთა იოს. ქიქოძე. მასწავლებლების კანდიდატებად: ნინო ყაზახიშვილი და ქრისტ. თოდუა.

**ქალაქის შეღავათის მიმცემ კომიტეტში** 1 ხარისხოვან ჯარში გასაწვევთაგან შუამდგომლობათა მიღება მოისპო. მეორე ხარისხოვანთაგან თხოვნები 7 ენკენისთვემდე მიიღება.

**ხურდის უქონლობა.** ქალაქში კვლავ გაძვირდა ხურდა ფულის შოვნა. ეს გარემოება მეტადრე დიდ უსიამოვნებას იწვევს ტრამვაიზე, სადაც მგზავრს, ისეც განაწამებს ადგილის შოვნაზე ტრამვაის ვაგონში კონდუქტორები მოურიდებლად სხამენ ვაგონიდან, თუმცა მგზავრები ბევრს ემუდარებიან, შაურში მანეთი დარჩეს, ოღონდ ნუ ჩამოგვსხამთო.

**ახალი ბანკი.** ამ დღეებში კრება ჰქონდა, კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის მთავარ საორგანიზაციო კომიტეტს. კრებას დაესწრნენ კავკავიდან ჩამოსული ბ. იასონ ლორთქიფანიძე და ქუთაისიდან ჩამოსული ბ-ნი რაჟდენ დათეშიძე. კრებამ ითათბირა ახლად აქციების გაყიდვის შესახებ და გამოარკვია, რომ ახალი აქციების გაყიდვით სრულებითაც არ შეფერხდება ბანკის წესდებისდამტკიცება სამინისტროში. ამიტომ კრებამ დაადგინა მიჰყიდოს ბ ნ აკაკი ხოშტარიას 400.000 მანეთის აქციები.

**ეპისკოპოსი მესროპი,** რომელიც უკანასკნელ წლების განმავლობაში დიდ როლს თამაშობდა სომხეთა ცხოვრებაში, სასულიერო მთავრობამ თბილისიდან ასტრახანში გაასწესა. ეს ამბავი დიდი ხანია მოხდა, მაგრამ ეპისკოპოსი მაინც თბილისში სცხოვრობდა. ეხლა მას ბრძანება მოსვლია ეჩმიაძინიდან, რომ 7 დღის განმავლობაში დასტოვოს თბილისი და ასტრახანში გადასახლდეს თავის თანამდებობაზე.

**ლტოლვილი სომხები.** როგორც სარწმუნო ამბავი მოვიდა თბილისში, ხოისა და სალმასში (სპარსეთი) 16,000 გამოქცეული სომეხი მისულა, რომელნიც, ბინის უქონლობის გამო ღამეს ცის ქვეშ ათევენ. მათ შორის მრავალ გადამდებ სნეულებას უჩენია თავი.

**ქალაქთა კავშირს** ცნობა მოუვიდა დიდი ყარაკლისიდან, რომ ნავთი არ მოიპოვება და კავშირის დაწესებულებანი არ ნათდება ღამ-ღამობითო. კავშირმა 2 ვაგონი ნავთი გაგზავნა.

**საადგილ მამულო კომისიამ** თავის უკანასკნელ სხომაზედ გადასწყვიტა დახმარება აღმოუჩინოს შემდეგ ამხანაგებს: 1) ს. ქვემო-ჭალის გლეხთა ამხანაგობას თ-დ ამილახვრის მამულში. 2) საქაშეთის შენახველ-გამსესხებელ ამხ. პურის საყიდლად (9000 მ.). 3) კარდანახის შემნახველ-გამსესხებელ ამხ. შაბიამანის შესაძენად—5000 მან. და 4) გურჯაანის მომხმარებელ საზოგადოება „მომავალს“—3000 მან. ახლო მომავალში კომისია შეუდგება: 1) სოფელ დიდ-ლილოში სარწყავ არხის გაყვანას, 2) სოფელ ლამისყანის მცხოვრებ გლეხთა თხოვნის განხორციელებას, რომ მათგან საზიაროდ ნაყიდი მამული (870 დესეტ.), თანაბრად გაიყოს და თითოეულ კოლს თავისი ხვედრი საკუთრებად მიეზომოს და 3) თბილისის გუბერ. გასაყიდი მამულების რაოდენობის გამორკვევასა და აღწერას.

**ერევნის სახაზინო პალატა,** რომელიც დროებით განჯაში იყო გადმოტანილი, მეფის ნაცვლის განკარგულებით კვლავ ერევანში იქმნა გადატანილი 30 მარიამობისთვიდან.

**სამოსამართლო პალატის სესიები** გაემგზავრენ ქუთაისსა და ბათომში.

**ბაჩანა.** თბილისში ჩამოვიდა ჩვენი სასიქადულო მგოსანი ბაჩანა, (ნიკო რაზიკაშვილი) იგი, როგორც გავიგეთ, თავს ანებებს მასწავლებლობას კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლისას—ფშავში.

**გადამდები ავადმყოფობა.** ქალაქის საავადმყოფოში 3 ენკენისთვეს ირიცხებოდა ქუნთრუშიანი 61, ყელჭირვებიანი 5, ყვავილიანი 7, სახადიანი 136 და მუცელაიანი 12.

**დ. ძირულა** (ზემო იმერეთი).

აქ, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, მ. მეთოდე ქათამაძეს აღუძრავს შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობასთან, რომ ძირულაში დაარსდეს უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი ახალი ტიპისა ვაჟ-ქალთათვის.

— აქ ძალიან გახშირდა საქონლის ჭირი.

— ეს რამდენიმე დღეა, აქ ხშირი წვიმები მოდის. საგრძნობლად აგრილდა.

— როგორც გაზეთებში სწერდენ, ადგილობრივ მცხოვრებს, ერმალოზ დიმიტრის ძე ებანოიძეს გამოურთმევია ამავე დაბაში მცხოვრებ გიორგი სიმონის ძე ებანოიძისათვის ფულად 13 მანეთი, ვითომც მისი შვილის სამხედრო ბეგრისაგან გასანთავისუფლებლად. განთავისუფლება ვერ მოუხერხებია და როცა უკანასკნელს საჯაროდ ფული უკან მოეთხოვნა. მ. ერმალოზს იმდენი ეცემნა გლეხისთვის, რომ ის დღესაც ლოგინად წევს. უკვე შესდგა ოქმი და გაეგზავნა შორაპნის მაზრის უფროსს.

## მხატვარი ოსკარ შმერლინგი

ყველასაგან კარგად ცნობილი მხატვარი და კარიკატურისტი ოსკარ ივანეს ძე შმერლინგი დაიბადა 1863 წელს თიბათვეში. სწავლა მიიღო თბილისის რეალ სასწავლებელში. სასწავლებელში თორმეტი წლიდან პატარა ოსკარმა ხატვა დაიწყო, საშინლად შეჰყვარებია კარიკატურების ხატვა. სასწავლებელში ყოფნის დროს თავის მასწავლებლებზე და ამღზრდელებზე ჰხატავდა კარიკატურებს. თითონ სცემდა მოწაფეთა იუმორისტულ ჟურნალს, რომელიც სკოლის მთავრობის განკარგულებით მესამე ნომერზე დაიკეტა. 1881—1884 წელს რეალ სასწავლებლიდან შევიდა უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში. პროფესორ ვილევალდესთან მეცადინობდა. სამხატვრო აკადემიაში ვერცხლის მედლით დაასრულა მხატვრობა. 1888 წ. პეტროგრადის ჰავა ვერ აუტანია და ისევ საქართველოსკენ გამოუწევია. უცხოვრია ერთი წელიწადი და შემდეგ პირდაპირ საზღვარგარედ წასულა ქ. მიუნხენში. აქ, როგორც თვითონ შმერლინგი ამბობს ხოლმე, „სვამდა ბლომად ლუდს და მუშაობდა პრ. რუბოს და შმიდტის ხელმძღვანელობით.

1892 წელს კავკასიაში დაბრუნდა და მას შემდეგ, ჩვენს შორის ცხოვრობს. ხატავს სხვა და სხვა სატახტოსა და პროვინციალ ჟურნალ-გაზეთებში. იმყოფება სხვა და სხვა სასწავლებლებში ხატვის მასწავლებლად.

ჩვენთვის, ქართველებისთვის დაუფასებელია ოსკარ შმერლინგი. აგერ, 15 წელიწადზე მეტია, რაც ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაუღალავად და ხალისით თავის მხატვრულს ნაწარმოებს თუ იუმორისტულ კარიკატურებს ათავსებს; განსაკუთრებით ქართველი ხალხი იცნობს მას, როგორც ნიჭიერს კარიკატურისტს, იმ დღიდან, როცა ალ. ჯაბადარი „ცნობის ფურცილს“ სცემდა.

არ ყოფილა ქართული მხატვრული, თუ იუმორისტული ჟურნალი, რომ შმერლინგის კარიკატურებს არ დაემშვენოს.

1901 წლიდან დღევანდლამდე მას ექნება აუარებელი მოსწრებული და მახვილი კარიკატურა დახატული, რომლის ნახვით და დაკვირვებით აუარებელი ქართველი საზოგადოების სხვა და სხვა საკითხზე გულისხმად უყვია.

ასურათხატებდა და დღესაც ასურათხატებს ყველა საყმაწვილო გამოცემას, წიგნს და ჟურნალს.

ამ ბოლო დროს ჩვენს გაზეთს—„საქართველოსა“ და „ეშმაკის მათრახში“ თანამშრომლობს. ისე კარგად იცნობს ჩვენს ცხოვრებას, რომ ზოგჯერ თემის მიცემა არც კი არის საჭირო, თვითონ ჰხატავს სხვა და სხვა დუხჭირ მოვლენებზე კარიკატურას და რედაქციას უგზავნის.

ვუსურვებთ ჩვენს ძვირფასს და ქართველ ხალხში დამსახურებულს ნიჭიერ მხატვარ ოსკარ ივანეს ძეს შმერლინგს ხანგრძლივ სიცოცხლეს და დაუშრეტელ ენერგიას.

**სოლნეს.**

## † გიორგი (გიო) ლომთათიძის ხსოვნას

ორმოცი დღე შესრულდა, რაც გიო ლომთათიძე ტრაგიკული სიკვდილით წუთი სოფელს გამოესალმა; ღარიბ გლეხის ოჯახის შვილს ბოლომდე შერჩა სოფლის ბუნება, იგი ფუთკარსავით მუშაობდა და მაშინ, როდესაც მას შეეძლო ჩვენი პატარა ქვეყნისათვის დიდი სამსახური გაეწია, თავისივე ხელით მოისპო სიცოცხლე და მით ულალატა, როგორც თავის რწმენას, აგრეთვე თავის ერს.

გ. ლომთათიძემ 14 წლისამ სოფ. ბახვის (გურიაშია) ორკლასიან სასწავლებლის გათავების შემდეგ, გიმნაზიაში შესასვლელად მზადება დაიწყო, მაგრამ სიღარიბის გამო ეს ვერ შესძლო. მიუხედავად ამისა, იგი თვითგანვითარებას მიეცა და აქ კი მან მიზანს მიაღწია. კარგად შეისწავლა ქართული ენა და მწერლობას ხელი მიჰყო: სწერდა პატარ-პატარა მოთხრობებს, სთარგმნიდა სახალხო წიგნებს, თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მისი ნათარგმნია „წერილები ძმასთან“, „მუშა ქალი“, „მუშათა მოძრაობა ინგლისში“, „დედა“ მ. გორკისა (დაუბეჭდავია) და სხვ. 1911—1915 წლამდე გ. ლომთათიძე ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში მუშაობდა, ხოლო ენკენისთვეში 1915 წ. ამავე საზოგადოების ხარჯით მოსკოვში წავიდა, შევიდა შენიავსკის უნივერსიტეტის საკოოპერაციო კურსებზე. კურსები წელს მაისში დაასრულა და ინსტრუქტორის ხარისხით სამშობლო ქვეყანას დაუბრუნდა. წელს თიბათვეში გ. ლომთათიძე თბილისის კოოპერატივმა „ალორძინებამ“ ინსტრუქტორად მიიწვია და სწორედ ეს თანამდებობა გახდა მის ბედის წერად. გ. ლომთათიძე არ აფასებდა თავის თავს, რა საქმისათვისაც უნდა მოეკიდნა ხელი, იგი ყველგან უადგილობას გრძნობდა. ინსტრუქტორობის დროს მან დაინახა, რომ მის მიერ რწმუნებულ საქმეს წარმატება არ ეტყობოდა, მან ესეც თავს იდო ბრალად; გარდა ამისა მან ვერ ჰპოვა თავის ამხანაგ მომუშავეთა შორის იდეით გატაცებულნი მუშაკნი, ყველა ამან უკიდურეს პესიმიზმამდე მიიყვანე და... 21 მკათათვეს თავისი ხელით სიცოცხლე მოისპო.

**ჩ. კ—ძე.**

## საკოოპერაციო სექცია

2 ენკენისთვეს შესდგა კრება ქართულ სამეურნეო საზოგადოებასთან არსებულ საკოოპერაციო სექციისა. კრებამ გადასწყვიტა შემდეგი:

1) ლილოს მერძევეთა ამხანაგობის საქმეების გამოსასწორებლად გაიგზავნონ იქ დავ. ვაჩნაძე, დ. ჩხეიძე და ინსტრუქტორი მალ. ტოროშელიძე, რომელთაც დავალებული აქვთ ამხანაგობის წევრებს შესაფერისი რჩევადარიგება მისცენ და შეფერხებული საქმე წესიერ კალაპოტში ჩააყენონ; 2) აგრეთვე კრებამ მოისმინა ინსტრუქტორის მალ. ტოროშელიძის მოხსენება შესახებ კოოპერატივების მდგომარეობისა სოფ. ატენსა, ძევერასა, ლილოსა, მცხეთასა და კავთისხევში, რომელი სოფლებიც ბ-ნმა ტოროშელიძემ თითონ მოიარა და ადგილობრივ გაეცნო ამხანაგობათა საქმეებს. კრებამ მოიწონა მოხსენებანი და დაავალა ბ-ნს ინსტრუქტორს შემდეგშიაც ასეთისავე ხასიათის მოხსენებანი წარუდგინოს სექციას; 3) ჟურნალ „მოსავალის“ საკოოპერაციო განყოფილების სარედაქციო კომისიაში სექციამ თავის წარმომადგენლად აირჩია ინსტრუქტორი მალ. ტოროშელიძე.

## იონა ბერი (ხელაშვილი) *)

ძველ საქართველოში სწავლა-განათლების საქმე სამღვდელოების ხელში იყო. მღვდელმთავართა საყდარნი და მონასტერნი ბრწყინავდნენ მეცნიერი ბერ-მონაზონებით და მწერალ-მწიგნობრებით. მონასტერთა წინამძღვარნი და მღვდელთ-მთავარნი ერთი მეორეს ეცილებოდნენ—საუკეთესო მეცნიერი და მწერალ-მწიგნობარნი არა, მე მყავნდეს—არა, მეო. მაგრამ მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრითგან მეჩვიდმეტე საუკუნემდე სწავლა-განათლების საქმე შეაყენა ძლიერ მტერთა გამუდმებულმა შემოსევამ. გამართული და სწავლა-განათლებით გაბრწყინებულნი მონასტერნი და ტაძარნი აოხრებულ იქმნენ. მეჩვიდმეტე საუკუნეში სპარსთა გავლენა ფრიად გაძლიერდა და, ერთის შეხედვით, ქართველთა ხსენება თითქოს უნდა აღგვილიყო პირისაგან ქვეყნისა,—მაგრამ სწორეთ ამ დროს გონიერის დიპლომატის როსტომ მეფის მეუღლე, მარიამ დედოფალი „გაბრწყინდა ვითარცა მთიები მოელვარე“. სამეფო კარზედ ერთად თავი მოუყარა ჩინებულ მწერალ-მწიგნობარ კაცებს, ყველას ასაჩუქრებდა და ულუფას აძლევდა; გამართა ყრმათა სასწავლო სკოლა, სამხატვრო, დააწესა მშვენიერი წიგნთ-საცავი და მტერთაგან გატანილ წიგნებს იხსნიდა და უბოძებდა ვისაც ეკუთვნოდა. ამ დროდგან სამეფო კარი შეიქმნა სწავლა-განათლების მცველი და მფარველი. მარიამ დედოფალს უნდა უმადლოდეს ქართველი ერი არჩილ მეფის აღზრდა-განათლებასა, ამან თავის მხრივ სწავლა-მეცნიერების გზა გაუკვლია საბა-სულხან ორბელიანს, ნიკოლოზ თბილელს, ვახტანგ მეექვსეს, ვახუშტი ბატონიშვილს და სხ. მარიამ დედოფლის კვალს შეუდგნენ ანნა დედოფალი და თამარი. 1727—1735 წლებში თამარ დედოფალს ფშავში თან ახლდნენ განათლებული ონოფრე ანდრონიკაშვილი და მისი ძმა აბელ მოურავი, მწერალ მწიგნობარნი—მღვ. დიმიტრი ხელაშვილი და მახარობელ ბაკურაძე—ერეკლე მეფის აღმზრდელნი. აქ გაჭირვებაშიაც კი არა ერთი და ორი, არამედ ათობით სწერდნენ წიგნებსა. თეიმურაზ და ერეკლე მეფენი პატარაობითგანვე ეტრფიალნენ მწიგნობრობასა და სამეფო სახლი ჟამითი ჟამად დიდს სამეცნიერო ბინას წარმოადგენდა: მეფის ძენი და ასულნი სწავლობდნენ სამშობლო მწერლობასა და თვით სწერდნენ და სთარგმნიდნენ უცხო ენებიდგან სასარგებლო წიგნებსა. რუსეთისაკენ მუდმივი მიმავლობა მწერალ-მწიგნობარ ქართველებისა, მართალია საქმეს აბრკოლებდა, მაგრამ უცხოეთში მყოფნი ქართველნი გულხელდაკრეფილნი როდი ისხდნენ: დღე და ღამ დაუცხრომელად იღწვოდნენ და სწერდნენ წიგნთა საღმრთოთა და საეროთა. მარიამ დედოფლის შემდეგაც, როგორც უწინ, ბევრი ისრეთი სამეცნიერო წიგნი დაიწერა, რომელთა მსგავსს იმდროინდელი ევროპა და რუსეთი ბევრს ვერაფერს წარმოგვიდგენენ. საბას ლექსიკონი, სიბრძნე-სიცრუე, ვახტანგ მეფის სამართლის წიგნი, ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფია, ანტონის მარტირიკა, მზამეტყველება, იოანე ბატონიშვილის კალმასობა და სხ. ქართველთათვის დღესაც კლასიკური შრომანი არიან და შემდეგშიაც, ვგონებ დიდხანს იქნებიან ესრეთნი.

ერეკლე მეფის დრო იყო დრო გამუდმებულის ბრძოლისა და სისხლის ღვრისა, გარეშე მტერთა ზედმოსევისა, მაგრამ მეფის ოჯახი მაინც განათლების დიდს ბინას წარმოადგენდა. 1746 წლითგან ერეკლემ აამუშავა წიგნთა საბეჭდავი, გაამრავლა სკოლები, სწყალობდა სწავლისა და მწიგნობრობის მოყვარეთა კაცთა და ახალისებდა მონასტრებში ბერმონაზონებს. ერეკლე მეფის სიბერის ჟამში ქართულს ენაზედ [illegible] იყო—ჟანჟაკ რუსსო, ვოლტერი, მონტესკიე და სხ. [illegible] დამლევს ჩვენ ვხედავთ სწავლა-განათლების დიადს წყურვილს: ახალგაზრდა ვაჟკაცნი ხშირად ანებებენ თავს სამშობლო სახლსა და იდუმალ მიილტვიან იქით, სადაც ეგულებათ კარგი მოძღვარი-მასწავლებელი; ესრეთნი იყვნენ—გაიოზ ბერი, ბარათაშვილი, ბესარიონ ბერი, ფავლენიშვილი, იონა ბერი ხელაშვილი, იოანე ბაზლიძე, სიმონ ერიაშვილი და სხ. მრავალნი.

**მღ. პ. კარბელაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

*) წაკითხულია ეტნოგრაფიულ-ისტორიულ საზოგადოების კრებაზედ 1914 წ. მაისში.

## აჭთურ-იქითური

**ხულოში (აჭარა)**

III

მთის საღამოს გრილმა და საამოსიომ დაჰბერა; უახლოვდები ხულოს და თან ჩემს უნებლიეთ მივღიღინებ გურულების ჩვეულებრივ სიმღერას: „მივალ გურიაში, მარა სული წინ-წინ გეიპარა“, ცხადია გურიის მაგიერ ვამბობ აჭარაში. უახლოვდები აჭარის მძლეთა-მძლის ჯამალ ბეგ ხიმშიაშვილ-აჭარელის *) დიდებულ სასახლეს, ევროპიულ გეგმაზე აგებულს, თლილი ქვის შენობას, ალებასტრით შელესილს. მრჩება სულ რაღაც ერთი ვერსი გზა. „აგერ უეცრად ვიღამაც“ მერანი გამოახტუნა. მხედარი ჩერქეზულ ტანისამოსშია, გამისწორდა, მერანი შეაჩერა.

— იუნუს-აღა!— აპელონ!—ორივემ ერთ და იმავე დროს წამოვიძახეთ. იუნუს-აღა ცხენიდან მკვირცხლად ჩამოხტა—ერთმანეთს ჩავეხვიეთ,—გადავკოცნეთ. ორივეს სიხარულის ცრემლი მოგვდის. ჩემი მეგობარი ახალგაზრდა გახლავს, დიდ აჭარის მამასახლისი (სამმართველო ხულოშია) იუნუს-აღა ბოლქვაძე. მაისში მე ის უკვე არჩეული, მაგრამ დაუმტკიცებელი დავტოვე. მე მას ხუთი წელიწადია ვიცნობ, გურიის ხშირი სტუმარი და სიძე, ქართველ ქრისტიანების დიდი მეგობარი. მამასახლისობას ჩვენის რჩევით დათანხმდა და დაგვპირდა, რასაც მირჩევთ დაგიჯერებთო. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით ყოჩაღადაც იქცევა: სკოლების გახსნას, გზების გაკეთებას, გაზეთების გავრცელებას და ასეთ კულტურულ საქმეებს ხელს უწყობს (როგორც გადმომცეს).

იუნუს აღა ისევ ცხენს მოახტა და უკან—ხულოსაკენ გაჰქუსლა—სხვებს ვახარებ შენს მოსვლასო... ავედი. გამომეგებნენ. ერთ-ურთი მოვიკითხეთ. ნეტარი იყო ჩემთვის ეს წამი, მაგრამ სიამოვნებას მიწამლავდა ის, რომ არ შემეძლო სამი დღის მეტი დავრჩენილიყავი... ბინად მღვდლისას (მამა ბესარიონ დოლიძესთან) დავრჩი, თითქმის შუაღამემდი ვიმასლაათეთ.

დილით მოვიხადე ვალი—გამოვეცხადე ადგილობრივ ბოქაულს ბ-ნ ნიკოლენკოს. ნიკოლენკო აქ მსახურებდა სწორედ იმ დროს, როცა ხულო ჩეტნიკებმა დაიჭირეს. მაშინდელი აჭაური ხალხის გასაჭირი ნიკოლენკომ თავისი თვალით ნახა. ის არ დაბნეულა და რის გადარჩენაც შეეძლო კიდეც გადაარჩინა. მაგალითად მან მთელ ზედა აჭარას, სხვა სიკეთეს გარდა დიდი ამაგი დასდო მით, რომ ხულოს წვრილი კრედიტის ამხანაგობის ვექსილები გატაცება-განადგურებას ყველა გადაარჩინა, იმ საშინელ დროს უბით ატარა თან. ის რომ ასე არ მოქცეულიყო რამდენიმე ათას მანეთს მთავრობა ბრუნდსა და მართალს გაუკითხავად გადაახდევინებდა. ამის მეოხებით ყველაფერი რიგზე დარჩა და ბანკი ახლაც მოქმედობს. ჩეტნიკების განდევნის შემდეგ ბ. ნიკოლენკო შავშეთში მსახურებდა, მომსწრე და მოწამეა თუ როგორ შეესია შავშელებს ოქრო ბაგეთში (სოფელია) მცხოვრებნი სომხები. ნიკოლენკომ თავისი მიუდგომელი ჩვენებით (სამხედრო სასამართლოს წინაშე) ბევრს მოსცხო პირზე მური, ბევრ საიდუმლოს ახადა ფარდა, ბევრს ააშორა თოკი. მაშინდელი საშიშარი დრამის კვანძის გამოხსნა კიდევ მის ხელთ არის და ძლიერ სწუხს, რომ არ შეუძლია „ყოველივე დაფარულის“ გამოაშკარავება.

— ყოველივე ის, რაც მე მაშინ ჩემის თვალით ვნახე და განვიცადე, მე თვით არ მჯერა, არ შემეძლო წარმომედგინა, თუ რომელიმე ერს იმდენი უმადურობა და გაუმაძღრობა შესძლებოდა, რამდენიც შესძლეს შავშეთში შეხიზნულებმა, საშინელება

*) რუსები ნიშნად განდიდებისა „აჭარსკის“ ეძახიან. **აპ. წ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე მაშინდელი მოგონება.—ბრძანა ბ-ნმა ნიკოლენკომ. მართალია ზემო აჭარლებს დიდათ სწყინდათ ბ-ნ ივანოვის აქედან (ხულოდან) გადაყვანა, მაგრამ წყენა ბ-ნ ნიკოლენკოს დანიშვნამ გააქრო—მისი დიდი იმედი აქვთ—ჩვენ მას ვიცნობთ და ის ჩვენ გვიცნობს და ვეცოდვებითო, ამბობენ აჭარლები. ბ-ნ ნიკოლენკოს ხულოში ღორები ამოუყვანია, ეს პირველი მაგალითია ზემო აჭარაში ღორის ყოლა, ცხადია სასიამოვნოთ არც ერთ, აჭარელს არ აქვს, მაგრამ ასე მოგახსენებენ, თუ პატრონი გიყვარს არც მისი საყოლი უნდა გძულდესო, სხვას რომ ეგ გაებედა აუცილებლად დაუხოცავდითო. ნიკოლენკო კი იმას ბრძანებს, თანდათანობით ყველაფერს უნდა შეეჩვიონ აჭარლებიო.

აკი შესჩვევიან კიდეც. მაგალითად ქრისტიანების მღვდელს, მამა ბესარიონ დოლიძეს (თებერვლიდან არის აქ) ისე დამეგობრებიან, რომ მათ ხოჯა-მოლაზე ნაკლებ პატივს არ სცემენ. რჩევა-დარიგებისათვის ყოველთვის მიმართავენ ხოლმე. წარმოიდგინეთ ერთ ოჯახში აჭარელი ქალიც კი უპირჩადროთ ეჩვენა, მაგრამ ამაზე შემდეგ. მღ. დოლიძეზე წინად აქ ბერძენი იყო მღვდლად, მას ახლოსაც არავინ ეკარებოდა (გარდა ბერძნებისა), ის სულ იმ ცდაში იყო, აჭარლებს ქართული წერა-კითხვა არ ესწავლათ და ქართველ ქრისტიანებს არ დაახლოვებოდნენ. როგორც ნამდვილ ფაქტს ისე მოგახსენებენ, რომ ხულოს სკოლის ერთ მოწაფეს ქართული „დედა-ენა“ თავზე გადააფხრიწა და დატუქსა—თუ ქართული გისწავლია გაგაციმბირებო. როგორ მოგწონთ მღვდელი-მისიონერი! გარდა ქართველისა თავის ერის კეთილდღეობისათვის ყველა ზრუნავს. ბერძნების კეთილდღეობა (ნივთიერი მაინც) კი იმას მოითხოვს, რომ აჭარელი მუდამ სიბნელეში იყოს, არ განათლდეს, არაფერი ისწავლოს, ქართველებს არ დაუახლოვდეს. მთელი ზემო აჭარის ვაჭრობა და ხელოსნობა ბერძნების მონოპოლიაა და თუ აჭარელმა „ბეჩობას“ თავი დააღწია, ბერძენმა „იალი“ ვეღარ მოხადოს. ეი ვახ, ეი ვახ! რაკი სიტყვამ მოიტანა ბერძნებზე ლაპარაკი ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ბერძნები დიდი ყაჩაღებია. წარმოიდგინეთ, ხულოში 15—20 მოსახლე (ვაჭრები, მჭედლები და ხარაზები) იქნება. მართლმადიდებელთა ეკლესია, რომელიც სამისიონერო მიზნით ააგო რუსეთის მთავრობამ, ბერძნები დაპატრონებიან. ეკლესიაში ერთი მხრით საწიგნე სავსეა ბერძნული საეკლესიო წიგნებით, მეორე მხრით კი სლავიანურით. ქართული კი ჯერ ერთი წიგნიც არ მოიპოვება. წირვა-ლოცვას არც ერთი ბერძენი არ აკლდება. „გალობენ“ და კითხულობენ ბერძნულად. ქართულის წამკითხავი არავინ არის. ნუ თუ ეროვნულ ინტერესებს არ დაიცავს ჩვენი ეკლესია, რომ ავტოკეფალური უფლება ჰქონდეს? ოღონდაც! ნუთუ უფრო უპრიანი არ იქნებოდა აჭარაში, ამ ნამდვილ საქართველოში, ზოგჯერ ქართულ ენაზედაც გაისმოდეს ღვთის მსახურება!? გვიკვირს ვისგანაც ჯერ არს. ადგილობრივ მღ. დოლიძეს აჭარლების ნდობა დაუმსახურებია კიდევ იმით, რომ მას ხელი მოუკიდია მეფუტკრეობის შესწავლისათვის. საქველმოქმედო საზოგადოების საფუტკრე, ეკლესიის ეზოშია მოთავსებული მეფუტკრეობაში სახმარი იარაღები და კოლექციაც ეკლესიის კირის ბჭის ოთახშია, მღვდელს უკვე თამამად შეუძლია ფუტკრის ხილვა და მსურველისათვის რჩევა-დარიგებისა და განმარტების მიცემა. მას, როგორც მეფუტკრეს სოფლებშიაც ეპატიჟებიან და მიჰყავთ ფუტკრის დასახედავათ. მასვე აქვს ეკლესიის ეზოში მშვენიერი ბოსტანი და აი როცა მღვდელი აჭარლებმა ნახეს მათ ღვიძლ ქართულ ენაზე მოსაუბრე და მეურნე მუდამ საქმეშია გართული, ნდობის თვალით შეხედეს. ამის მეოხებით არის ის, რომ მღ. დოლიძე ახლად გამოცოცხლებული ბანკის საქმის მწარმოებლად აურჩევიათ.

ბარაქალა რომ მან ასე მცირე ხანში შესძლო ხალხის გულის მოგება. მამა ბესარიონს გადაწყვეტილი აქვს აჭარაში დაარსოს სამრეწველო საფუტკრე და ეს კიდევ აამაღლებს მის ავტორიტეტს. სრული იმედია ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოება საამისო მცირე თანხას არ დაიშურებს.

აპ. წულაძე.

(შემდეგი იქნება)

## სურათი სოფლის კოოპერატივთა ცხოვრებიდან

საქართველოს ყველა კუთხეში ამ ბოლო დროს გასაოცარის სისწრაფით მრავლდება მომხმარებელ ამხანაგობათა რიცხვი. როგორც მოსალოდნელი იყო, ზოგიერთ ამხანაგობას ბევრი ნაკლი აღმოაჩნდა, რაიცა ათასგვარ დამაბრკოლებელ მიზეზით აიხსნება და საქმის წარმოება ისე ვერ მიმდინარეობს, როგორც სასურველია. მაგრამ ამასთანავე საქმე ისედაც არ არის გაფუჭებული, რომ მისი გამოკეთება და ნორმალურ დონეზე დაყენება არ შეიძლებოდეს, თუ კი გულშემატკივარი ხელმძღვანელი აღმოუჩნდება. ამას ნათლად გვიმტკიცებს ინსტრუქტორის მალაქია ტოროშელიძის მოხსენება, რომელიც მან წარუდგინა ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს და რომელშიაც აღწერილია მდგომარეობა ლილოს მერძევეთა ამხანაგობისა. ამ ამხანაგობის ვითარების დასასურათხატებლად სიტყვა-სიტყვით მოგვყავს ადგილები აღნიშნულ ამხანაგობისა.

„ლილოს მერძევეთა ამხანაგობის მიწვევით,—ამბობს ბ-ნი ტოროშელიძე,—სოფ. ლილოს გავემგზავრე. საქმე წინა თვეებიდან იყო დარჩენილი წევრების მისაცემი რძის ფული 517 მან. 32 კაპ. ივლისის განმავლობაში შემოვიდა წევრთაგან 276 ფუთი და 12 გირვანქა რძე, ღირებული 828 მან. 39 კაპ., რომლიდანაც ხარჯების გამორიცხვით წევრებს ერგებათ 699 მან. 46 კაპ., რაიცა ძველ ვალიანად შეადგენს 1.216 მან. 78 კაპ. კასაში კი მხოლოთ 201 მანეთია. წევრები დაჟინებით მოითხოვდნენ თავის ხვედრ ფულს და ანგარიშს არ უწევდნენ იმ გარემოებას, რომ ამხანაგობას ზარალი აქვს. ზარალი კი გამოწვეულია უმთავრესად მით, რომ ზაფხულის თვეებში რძე იჭრებოდა და თფილისის მუშტრები აჭრილი რძის ფულს ჰქვითავდენ საერთოთ აღებული რძის ჯამიდან. ამას ემატება ძველი, აწ უკვე გადაყენებული, რწმუნებულის მიერ საქმეების აწეწა. ამ ნიადაგზე საქმე მეტად გამწვავებულია. ერთი საათით ადრე ჩვენი ასვლის წინ ამხანაგობის ერთ წევრს, (რომელსაც ძმაც მიშველებოდა) გაელახა გამგეობის წევრი ცხოვრებაშვილი, რომელსაც პირისახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი. ცხოვრებაშვილს, როგორც ამხანაგობის ხაზინადარს, ფულსა სთხოვდნენ, ის კი უპასუხებდა, —ყველას არ გაწვდება ეს ოცი თუმანი, შევიკრიბოთ, გადავსწყვიტოთ როგორ უნდა მოვიქცეთ და მერე დავარიგებ ფულსაო. ამ ნიადაგზე ამტყდარა ალიაქოთი და ბოლოს თავის მტვრევით გათავებულა.

რაც შეეხება ანგარიშების წარმოებას, ის ახლა წესიერად არის დაყენებული. ანგარიშებს აწარმოებს ახალგაზდა კაცი, რომელიც წინად ჰურქლების მრეცხავად იყო დაქირავებული. თვიური ანგარიში ყველა წევრებისა კარგად შეუდგენია: შემოსავალ-გასავალის წიგნსაც ის აწარმოებს, ხარჯებს ახლა გამგეობა ეწევა და ნაღდ ფულსაც გამგეობა იბარებს, მაგრამ ანგარიშების გამოსწორება საქმეს ვეღარა შველის, რადგან დეფიციტი მეტად მძიმედ აწვება ამხანაგობას. მოვახდინეთ ამხანაგობის კრება, რომელსაც გაურკვიე მთელი ანგარიშების მდგომარეობა, გავკიცხეთ ისეთი ველური მოქმედება, როგორც გამგეობის წევრის გალახვა, რაზედაც კრება ერთხმად დამეთანხმა და შეუდგა ღონისძიების გამოძებნას ზარალის დასაფარავად. წამოაყენეს წინადადება—ყოველმა წევრმა თითო თუმანი „იზარალოს“ საერთო ზარალის დასაფარავადო. ეს წინადადება არ გავიდა, რადგან ზოგისა დარჩენილია ექვსი თუმანი, ზოგისა კი ექვსი შაური; ვისიც არაფერი დარჩენილა ამხანაგობაში, ძნელია თუმნის გადახდევინება, რადგან სულ აღარ მოიტანს რძეს. გადასწყვიტეს ერთდროულად გადაიხადონ თითო მანეთი ყოველ ძროხაზე; აიღონ ვალად საკრედიტო ამხანაგობიდან 300 მანეთი, რომლის უზრუნველ საყოფელად მათ ჰყავთ ბუღა, რომლის გაყიდვა ამხანაგობის სასარგებლოდ აღუთქვა იქ დამსწრე აგრონომმა ა. მარქაროვმა; დაუცადონ ფულის დარიგებას ამ თვის ნახევრამდე, როცა შემოვა ამ თვეში გაყიდული რძის ფული და მხოლოდ მაშინ დაარიგონ წევრებზე მათი ხვედრი ფული პროპორციონალურად. ამ გზით იმედი აქვთ ვალის 70 პროც. მოსწყვიტონ და ამხედრებულ წევრებსაც დააშოშმინებენ. ხალხის სულიერი განწყობილება, რომ გამეგო, მე განგებ დავსვი საკითხი ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ ერთიც არავინ გამოჩნდა ამისი მომხრე. ამხანაგობის მომავალი მთლად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დასძლევს ის არსებულ კრიზისს!

როგორც ვხედავთ, ამხანაგობა კრიზისს განიცდის, მაგრამ უბრალო დარიგების წყალობით იგი მზათ არის თავისი შეცდომა გაასწოროს, საქმე გამოაკეთოს და ამხანაგობის გაუქმების მსურველი ერთიც არავინ არის.

ლ.

## ვისთვის სწერთ

დიდებული შოთა, ეს უწარჩინებულესი მცოდნე ქართული ენისა, რომ აღადგინოთ და წააკითხოთ თანამედროვე ქართულს ენაზე დაწერილი რამე ნაწარმოები, სრულიად დარწმუნებული ვარ ნახევარზედ მეტს ვერ გაიგებს. თუმცა დიდმა დრომ განვლო და მას შემდეგ რასაკვირველია ენა გაუმჯობესდებოდა (?), მაგრამ არც ისე გამოცვლა შეიძლება მისი, თუ არ განძრახ, რომ ყოველ პწკარში ხუთი სიტყვა უცხო იყოს და სამი ქართული.—

მცოდნე პირთაგან გამიგონია და მგონია ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ქართული ენა რუსულზედ უფრო მდიდარია და თუ ტოლსტოის თუთხმეტ დიდ ტომში მისი ნაწარმოებისა არსად საზღვარ-გარეთელი სიტყვა არ უხმარია, რაღა ჩვენმა მწერლებმა ერთს უბრალო მოწინავე საგაზეთო წერილში ვერ მოახერხეს ეს?

მაგალითად, „სახალხო ფურცელის“ 521 №-ში, მოწინავე წერილში*) ოცდა-ათამდი საზღვარ-გარეთელი სიტყვაა და ერთი წინადადება, მაგალითად: **„ლიტონ სიტყვებს და უბრალო ხზებას ანგარიშს არ გაუწევდით, რომ კონკრეტიული ფაქტები არ გვაფიქრებდეს. ადგილობრივ მოღვაწეთა ტერმინოლოგიით ტენდენციის პრინციპიალური საფუძველი კოსმოპოლიტიკური კონცეპციაა საკავკასიო პროექტში ჩამოყალიბებული“**, ხომ მთლად არა ქართულია.

საკვირველია ღმერთმანი ვისთვის სწერთ? თუ მეცნიერთათვის, რომელთა რიცხვი საქართველოში მაინცა და მაინც, კაცმა რომ სთქვას, ბევრი არა გვყავს საუბედუროთ, ან და ეგრედ წოდებული—ინტელიგენციისთვის, მაშინ საშვალო მკითხველთათვის, რომლებმაც სხვა ენა, გარდა ქართულისა, არ იცის, კიდევ გამოეცით სხვა გაზეთი ქართულად დაწერილი.

მე ერთი სოფლელი კაცი გახლავართ, ცოტა რუსულიც კი ვიცი და გაფაციცებით, შეძლებისა დაგვარად, თვალყურს ვადევნებ ქართულ მწერლობას. უნდა მოგახსენოთ, რომ მეტად ძნელია ასეთი წესის შეგუება წერაში. არის ბატონებო ქართულად ბევრი სიტყვები, რომელსაც ეხლა არ ვხმარობთ, ძლიერ ბევრია და ყოველ შემთხვევაში შესაფერისი ამა თუ იმ უცხო ენის სიტყვისა, ბევრი გახლავს, მხოლოდ ამისთვის საჭიროა ძველი საღმრთო წერილის წიგნების, ძველ მატიანეთა და ხელთნაწერთა კითხვა-შესწავლა და ამისათვის დრო-მოცალეობაა საჭირო და შრომა, რომლისთვისაც კარგს ინებებენ ზოგიერთი ჩვენი მწერლები თავს შეიწუხებდენ, თორემ საზღვარ-გარეთული სიტყვების რახა-რუხით ვერაფერს გაარიგებენ. ბატონებო, სწერეთ ჩვენთვისაც გასაგებად. სწერეთ ქართულად!

*ერთი მდაბიო მკითხველთაგანი.*

*) ამ საერთო ნაკლისთვის ვერც სხვა ქართულ გაზეთებს დაუხწევიათ თავი.

## დაბა-სოფლები

**თელავი.** ეს რამდენიმე წელიწადია, რაც შემოგვეჩვია და ხშირად გვესტუმრება ხოლმე აქ, ერთი ვინმე ცილინდროსანი რუსი ივანე კუზნეცოვი. თავის სამი ბანქოთი (კარტით), რომლითაც ეთამაშება ვისაც ჩაიხელებს თავის საკბილოს (უფრო ხშირად გლეხებს), უგებს რაც რამე აბადიათ და ჯიბე გამოცარიელებულს ისტუმრებს. რამდენჯერმე უჩივლეს კიდეც პოლიციაში, დაატუსაღეს, სცემეს, აწვალეს, მაგრამ ვერც ფული უპოვეს, ვერც გამოტეხეს.

„დაგორდა ქოთანი, იპოვნა სარქველიო“, სწორედ იმაზეა ნათქვამი. საცა თამაშობას დააპირებს, თავის მზგავს ამხანაგსაც იქვე შოულობს, რომ მოგებული ფული გადასცეს დრომდის დასამალად. ეხლა ხშირად ვეღარ ჰხედავს აქ თამაშობას, მიდის თელავის განაპირას და იქ აბამს თავის ქსელს. აი, ეხლაც სოფ. შილდიდგან თელავში წამოსულნი პირველი ხარისხის მოლაშქრენი შეხვედრიან თელავის ბოლოზე კუზნეცოვს. მას გაუბრიყვებია ათი-თორმეტი გლეხი, უთამაშებია თავისთან სამი კარტით. მოუგია ყველასთვის სახლიდან გზის სახარჯოდ წამოღებული ფულები და ისე გამოუსტუმრებია. ამოვიდნენ ეს საწყლები თუ არა, მაშინვე იჩივლეს ბოქაულთან, რომელმაც გაგზავნა პოლიციელები, დააჭერინა, ამოაყვანინა თელავში, მაგრამ რა გამოვიდა, მოგებული ფული ვერ აღმოუჩენიათ და ისევ გაუშვიათ.

შ—ლი.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში შემდეგს:

ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა ულრმეს მადლობას სწირავს ქვემორე მოხსენებულ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და დახმარება გაგვიწიეს, როგორც თავიანთი წვლილის გაღებით, ისე ნაცნობ-მეგობართა შორის ფულის შეგროვებით ქალ. ოზურგეთში მგოსან აკაკი წერეთლის ძეგლის დასადგმელ ფონდის სასარგებლოდ:

**მღ. ხარიტონ ჩხატარაიშვილს**, რომელმაც შეაგროვა სიით № 7—4 მ. 50 კ. შემომწირველთა სია: მასწ. ანეტა ჯინჭარაძე 50 კ., სილოვან წაქაძე—1 მ., მღ. თომა საბაშვილი 50 კაპ., მარო ზურაბაიშვილი 50 კაპ., სონია ჩიტაიშვილი 40 კ., მღ. ბ. მახარაძე 20 კაპ., ალექსანდრე ხუნგია 50 კ., ილარიონ დარახველიძე 40 კ. და მღ. ხარიტონ ჩხატარაიშვილი 50 კ.

**ისიდორე ონისიმეს ძე ხომერიკს** სიით № 26—61 მან. 50 კ. შემომწირველთა სია:

ისიდორე ხომერიკი—10 მან., სილიბისტრო გოგიჩაიშვილი 1 მან., ნიკო იაგორის ძე ხომერიკი 3 მან., ომაინ გრიგორის ძე მგელაძე 2 მ., პროკოფი მგელაძე 3 მ., ივანე კვაჭანტირაძე 1 მ., სილევან მდინარაძე 3 მან., ივანე მგელაძე—3 მან., მელიტონ მიხეილის ძე ღლონტი 3 მან., აკაკი მირიანის ძე ღლონტი 3 მან., ფილიპე თენიეშვილი 3 მ., პარმენ თენიეშვილი 1 მან. გერმანე დარჩია 1 მან., ბენია ხინთიბიძე 3 მან., პეტრე სალია—1 მ., გიორგი ფარცხავა 1 მან. ტრიფონ მიმინოშვილი 1 მან., შალიკო ზარქუა 3 მან., პარმენ მიხეილის ძე ლორთქიფანიძე 2 მან. ვლადიმერ ლაკარბია (აფხაზი) 2 მან., ალექსანდრე ზახაბელი 1 მან., გიორგი ზენაიშვილი 2 მან., დიომიდე ლომჯარია 1 მ., იასონ გიგიბერია 1 მ. დათიკო აფაქიძე 50 კაპ., კალე გაგუა 1 მან., კოლია ლომინაძე 1 მ., ტროფი ლომაია 1 მან., ვარდო მგელაძისამ 2 მ. და ვარდენ სიმულიძემ 1 მან.

ამასთანავე უმორჩილესათ ვსთხოვთ იმ პირთ, ვისაც გაგზავნილი აქვს სიის ფურცელი— დააჩქარონ გამოგზავნა.

ოზურგეთის ქალაქის მოურავი
თავ. დ. ერისთავი.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო ზანჩიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-3, | 11.18 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ 58 | „ დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, | 7 „ 58 | „ საღ. |

ჩაქვის საუფლისწულო მამული
(სადგური ჩაქვა. ამიერ კავკ. რკ. გზა)
აძლევს იჯარას
300 კუბიკური საჟ. შეშის დასაჭრელად და მოსატანად იმავე მამულში.
შეშის მოჭრა შეიძლება საკუთარს ტყეში ამავე მამულიდან 4 ვერ. სიშორეზე.
არის გზა, ნახევრად ნაკეთები.
შემდეგისთვის ყოველ წლივ გაიცემა 400 კუბიკურ საჟენის შეშის იჯარა.
ტყის დათვალიერება ყოველთვის შეიძლება.
ყოველივე პირობა კუბიკურ საჟენის ფასის აღნიშვნით უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით: Ст. Чаква (Зак. Ж. Д.) Управленіе Чаквинским Имѣніемъ.
(3—236—3)

მანგლისის გზაზე, თბილისიდან 23—25 ვერსის მანძილზე,
იყიდება 300 დესეტინამდე
რცხილის ტყე მოსაჭრელად და სანახშირედ.
იმავე მამულში ეძებენ
მერძეოფის, მეურნეოფის მცოდნე მოიჯარეს,
რომელსაც უნდა ჰყავდეს ახამდე მეწველი ძროხა.
დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება მამულაიშვილის ფართლეულობის მაღაზიაში, სომხის ბაზარი, მანთაშევის ქარვასლა № 20—22.
(10—224—6)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

გამოვიდა და იყიდება
კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში
(ქუთაისში)
რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово“ ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი ს. ოცხელის მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.
ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“) თანაგრძნობით შეხვდა.
პრაქტიკის მქონე მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ „Новое Сслово“-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.
სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно в усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходьщимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ“.
(ო.—225—6)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
კომერციულ ცოდნათა
კურსები
ტ. მ. ფილოიანისა
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)
თხოვნები მიიღება: 4—6 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.
(20—231—8)

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაზხლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 8, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მეგველოვების-ფირმის, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ბუზზის“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კილაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.